ორი მატჩი - ორი გამარჯვება
თბილისშიც...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 10 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “ნეფტიანიკი” (ბაქო) 1:0 (0:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, გ. სიჭინავა (გავაშელი), პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, მესხი.

“ნეფტიანიკი”: კრამარენკო, ა. ბაბაევი, ბრუხტი, ი. ბაბაევი. ბოგდანოვი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გაჯიევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, ზეინალოვი (აბდულაევი).

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დიდი ხანი არაა, რაც თბილისის დინამოელთა შეხვედრები ბაქოს “ნეფტიანიკთან” პრინციპული ხასიათის, დიდი მნიშვნელობის მატჩებად იქცა. ოდესღაც საშუალო კატეგორიის ბაქოს გუნდი, რომელიც უძლიერეს ლიგაში მოხვდა არა სპორტული მაჩვენებლების, არამედ გარკვეული რეფორმების (1960 წელი) ძალით, დღეისთვის საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში დგას, სსრ კავშირის პირველ ნაკრებს აწვდის ძირითადი შემადგენლობის წამყვან ფეხბურთელებს და საერთოდ, მაღალი კვალიფიკაციის კოლექტივს წარმოადგენს. ბაქოს “ნეფტიანიკის” სიძლიერე და მის ცალკეულ ფახბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა ჩვენ ნათლად ვიხილეთ კვირის მატჩში. გუნდი ნამდვილად ძლიერია.

ავიღოთ, თუნდაც, თავდასხმის ხაზი. მისი შეტევის მახვილს წარმოადგენს ბანიშევსკი, აგრესიული, დიდ ტერიტორიაზე მოქმედი, სისტემატურად კარზე დამიზნებული ფორვარდი, რომელიც თავისი პარტნიორების კომბინაციათა საბოლოო პუნქტს წარმოადგენს. მაგრამ საკმარისია რომელიმე სხვა თავდამსხმელი აღმოჩნდეს კარგ პოზიციაში, რომ ბანიშევსკიმ მუდმივი ადრესატიდან წამსვე გადაინაცვლოს გამთამაშებელი თავდამსხმელის როლში. მის გვერდით, ოღონდ ოდნავ უკან დაწეული, თამაშობს გუნდის მთავარი დისპეტჩერი, საუკეთესო კომბინაციური ალღოს მქონე მარქაროვი, რომელიც განუწყვეტლივ კვებავს გადაცემებით ბანიშევსკის და ფლანგურ გარღვევებზე გაჰყავს სწრაფი ტუაევი.

თავდასხმის საიერიშო რგოლში დინამოელებსაც 3 ფორვარდი ჰყავდათ: მეტრეველი, ნოდია და მესხი. ასე რომ, შემტევი ძალების ამ თანაფარდობისას საკითხი უნდა გადაეწყვიტა საშემსრულებლო ოსტატობის დონეს, გეგმის სწორედ შესრულებას, ცალკეული საბრძოლო ეპიზოდების რაციონალურად გადაწყვეტას. სამივე ჩვენმა თავდამსხმელმა შეხვედრის დიდი ნაწილი კარგად ითამაშა, მაგრამ მატჩის საერთო მსვლელობაში და მის შედეგშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა ნახევარდაცვამ. “ნეფტიანიკს” ეს ხაზიც ძლიერი ჰყავს, მაგრამ დინამოელებმა შუა მინდორზე უკეთესად ითამაშეს და აქ თავისი სიტყვა თქვა ასათიანმა. იგი საუცხოოდ ასრულებდა შორი მანძილიდან დარტყმებს, მინდვრის მთელ სიგანეზე აქტიურად ებრძოდა მეტოქეებს და უმცირესი შესაძლებლობის დროსაც კი თავისი გუნდის შეტევების რეგულარული მონაწილე იყო.

მატჩის პირველივე წუთებმა არ დატოვა არავითარი ეჭვი იმაში, რომ ბრძოლა უკომპრომისო, უკიდურესად დაძაბული იქნებოდა. მე-2 წუთისთვის ბაქოელები 2 ძალზე სახიფათო მომენტს გადაურჩნენ. მერე კი, ათიოდე წუთის შემდეგ, ბანიშევსკიმ და ტუაევმა ზედიზედ ორჯერ მოახვედრეს ბურთი ძელს.

ასეთ მომენტებს თვლა არ ჰქონდა მთელი თამაშის განმავლობაში. 52-ე წუთზე კუტივაძემ მინდვრის შუაგულიდან კარგად გაიყვანა ფლანგზე მეტრეველი, აქ გარემარბმა სწრაფად დატოვა “მშრალზე” ი. ბაბაევი და საჯარიმო მოედნის ცენტრისკენ გაგზავნა ბურთი. ნოდიამ ბრუხტთან ბრძოლაში წამით დაასწრო მეტოქეს და მარცხნივ გააგრძელა კომბინაცია _ მესხთან. მარცხენა გარემარბმა სწორად შეაფასა სიტუაცია, მიუახლოვდა კარს და შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი _ 1:0.

ერთხანს თბილისელებს კიდევ ჰქონდათ საერთო უპირატესობა და მასთან ერთად _ ბურთის გატანის შესაძლებლობაც (გავაშელი ორჯერ გავიდა ღია პოზიციაში და სულ მცირე მანძილით ააცილა კარს), მერე კი დაიწყო ბაქოელთა ხანგრძლივი, მძლავრი, საფუძვლიანი შტურმი. დადგა ის პერიოდი, რომელიც თბილისის “დინამოს” ტრადიციად ექცა: გუნდი წინ იყო მინიმალური ანგარიშით და ძალების უკიდურესი დაძაბვით უხდებოდა ამ მერყევი უპირატესობის შენარჩუნება. ნერვიულობამ ორივე მოწინააღმდეგის თამაშში შეიტანა გარკვეული სიმკვეთრე, უხეშობის ელემენტი, რომლის აღკვეთა ვერ შეძლო პ. კაზაკოვმა. დინამოელებს გაუჭირდათ. “ნეფტიანიკის” თითოეული შეტევის მოგერიებას ეწირებოდა დიდი ენერგია, დიდი ჯაფა, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო საპასუხო გოლი.

უმნიშვნელო შეცდომასაც კი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ძვირფასი ქულის დაკარგვა, მაგრამ საბედნიეროდ, წინა მატჩების ისტორია არ გამეორდა. თბილისელებმა შეინარჩუნეს კარის უხიფათობა და მასთან ერთად _ გამარჯვებაც.

ბ. ქორქია
"ლელო", 12 სექტემბერი, 1967 წ.